გ. ნოდიას ორი გოლი

ლუგანსკი. “ავანგარდის” სტადიონი. 22 აგვისტო.

“ზარია” (ლუგანსკი) - “დინამო” (თბილისი) - 0:2 (0:0).

“ზარია”; ტკაჩენკო, შულჟენკო, რაშჩუპკინი, აბრამოვი, შკლიარი, კუსკოვი (ტოლსტოვი), შაკუნი, სემიონოვი (მუსიენკო), სტრელცოვი, ჟურავლიოვი, შილინი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მაჩაიძე, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 3:0 “ზარიას” სასარგებლოდ.

მატჩის პირველ ნახევარში ბრძოლას თანაბარი ხასიათი ჰქონდა. თბილისელებმა ვერ შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება, ვინაიდან მასპინძლები ბევრს მოძრაობდნენ და არ აძლევდნენ მეტოქეს თამაშის გაშლის საშუალებას. იყო მომენტები, როცა დინამოელთა კარი რეალური საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. ასე მაგალითად, ურუშაძეს ორჯერ მოუხდა ძნელი ბურთების აღება შაკუნისგან.

სულ სხვა სახე მიეცა ბრძოლას შესვენების შემდეგ. თბილისელთა გამოცდილებამ და საერთო კლასმა თავი იჩინა დასაწყისიდანვე. ისინი გააზრებულად მოქმედებდნენ შუა მინდორში. აქედან იწყებოდა გუნდის შეტევები და თავდამსხმელები ხშირად ღებულობდნენ ზუსტ გადაცემებს კარის სიახლოვეს.

თავი გამოიჩინა მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, ცენტრალურმა ფორვარდმა გ. ნოდიამ. მისი სამოქმედო ასპარეზი ფაქტიურად განუსაზღვრელი იყო. გ. ნოდია ხშირად იცვლიდა ადგილებს ფლანგებზეც და ცენტრალურ ზონაშიც. ერთ-ერთი იერიში 53-ე წუთზე მან დაამთავრა ზუსტი დარტყმით. გავიდა სულ რამდენიმე წუთი და იმავე გ. ნოდიამ მეორედ აიძულა ტკაჩენკო გამოეტანა ბურთი ბადიდან - 2:0.

თბილისელთა გამარჯვება დამსახურებული, დამაჯერებელი იყო.

რ. კლიმენკო (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 24 აგვისტო, 1969 წ.